

საგადახდო დავალება No 0279

Transfer Order No 0279

ვალუტირების თარიღი/Value Date: 24/11/2014

რეფერენსი/Reference: 3145635057

იგნენი მომავალი



საქართველოს ბანკი
CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator ა(ა)იპ არქეოლოგიური ასოციაცია	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE27BG000000275073700GEL	თანხა/Amount 50 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name ა(ა)იპ არქეოლოგიური ასოციაცია	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer	
მიმღების დასახელება/Recipient ს.ს.ი.პ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code GE52BR0000010591718543	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
მიმღების ბანკი/Recipient Bank სს "ბანკი რესპუბლიკა"	ბანკის კოდი/Bank Code REPLGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank 24/11/2014
გადახდის დანიშნულება/Description გრაკლიანის არქეოლოგიური კომპლექსის (კასპის მუნიციპალიტეტი) გადახურვის სივრცით-არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციაზე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე დამატებითი ინფორმაცია/Additional Info	ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature: მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:	ხელმოწერა/Signature: შტამი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK
	ბეჭედი:	ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 0279

Transfer Order No 0279

ვალუტირების თარიღი/Value Date: 24/11/2014

რეფერენსი/Reference: 3145635057

იგნენი მომავალი



საქართველოს ბანკი
CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator ა(ა)იპ არქეოლოგიური ასოციაცია	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE27BG000000275073700GEL	თანხა/Amount 50 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name ა(ა)იპ არქეოლოგიური ასოციაცია	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer	
მიმღების დასახელება/Recipient ს.ს.ი.პ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code GE52BR0000010591718543	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
მიმღების ბანკი/Recipient Bank სს "ბანკი რესპუბლიკა"	ბანკის კოდი/Bank Code REPLGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank 24/11/2014
გადახდის დანიშნულება/Description გრაკლიანის არქეოლოგიური კომპლექსის (კასპის მუნიციპალიტეტი) გადახურვის სივრცით-არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციაზე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე დამატებითი ინფორმაცია/Additional Info	ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature: მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:	ხელმოწერა/Signature: შტამი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK
	ბეჭედი:	ვალუტირების თარიღი/Value Date:



სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #T34754-14

თბილისი

24 ნოემბერი 2014 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „გარანტი“)

გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869

გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო

პრინციპალი: ააიპ არქეოლოგიური ასოციაცია (შემდგომში „პრინციპალი“)

პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 204466844

პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზ., №35ბ, ბ.34

ბენეფიციარი: სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი“)

ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 204562311

საგარანტიო თანხა: 100 (ასი) ლარი

ვითვალისწინებთ რა, რომ პრინციპალი მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება ბენეფიციარის სატენდერო კომისიის მიერ (კონკურსი #1417) გრაკლიანის არქეოლოგიური კომპლექსის (კასპის მუნიციპალიტეტი) გადახურვის სივრცით-არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციაზე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენ, სს „საქართველოს ბანკი“, მდებარე მისამართზე გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო (შემდგომში „ბანკი“) ვიღებთ გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველყოფთ ბენეფიციარისათვის ჯამურად 100 (ასი) ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ სატენდერო წინადადების გახსნის შემდეგ პრინციპალმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრინციპალი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ბენეფიციართან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრინციპალი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკვალიფიციაციური ქმედების ჩადენის გამო.

გარანტიის მოქმედების ვადა არის: 24 იანვარი 2015 წელი (შემდგომში „მოქმედების ვადა“), შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, ბენეფიციარის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებულ იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევა(ებ)ის დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადაში მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი“ (ს/კ: 204378869), სსთაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაკრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ბენეფიციარის მხრიდან უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრული და სიტყვიერად და საბანკო რეკვიზიტები. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო გარანტიის ასლი.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ანა ჭავჭავაძე
ვაკრობის ფინანსირების დეპარტამენტის დირექტორი



CV

სახელი, გვარი

ზურაბ გაჩეჩილაძე

დაბადების თარიღი:

1940 წლის 19 მაისი

მოქალაქეობა:

საქართველოს მოქალაქე

ეროვნება:

ქართველი

ოჯახური მდგომარეობა:

დაოჯახებული

მისამართი:

ქ. თბილისი ნუცუბიძის ქუჩა
№48 ბინა 17

მობილური:

899 25 13 45

E-mail:

ivertmsheni1@mail.ru

განათლება:

უმაღლესი

1962-67 წწ.

საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტი

სპეციალობა:

ინჟინერ-მშენებელი

ენები:

ქართული-მშობლიური
რუსული-სრულყოფილად

პროფესიული გამოცდილება:

1978-წლიდან

მუშაობს ძეგლთა დაცვის
სისტემაში.

1999-2002წწ.

შ.პ.ს. „ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი“-ს მთავარი ინჟინერი.

2002-2007წწ.

შ.პ.ს. „ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი“-ს დირექტორი.

2007 წლიდან

ს.ს.„სამშენებლო კომპანია „ივერთმშენში“ მშენებელ-რესტავრატორი.

სამუშაო გამოცდილება:

მის მიერ შესრულებულია აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები ისტორიისა და კულტურის შემდეგ ძეგლებზე: ვარძია, ზემო ვარძია, საფარა, ჭულე, ზარზმა, ბაგრატი, გელათი, ბოლნისის სიონი, წულრულაშენი, ფიტარეთი, ფოკა, ალავერი, ჯვარი,გ.ჩიტაიას სახელობის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის „სიღნაღური სახლი“, იუსტიციის სამინისტროს შენობის ფასადი, სამების ტაძრის ფასადის ნაწილი და სხვ.

ს.ს. „სამშენებლო კომპანია „ივერთმშენის“ გენერალური დირექტორი ედიშერ ჯანჯულია



03.10.2011.

CV

სახელი. გვარი მმრპპ პასრპპ

დაბადების თარიღი: 01/12/1952
დაბადების ადგილი: თბილისი
პირადი №: 01009002767
მისამართი: თბილისი არ. ქურდიანის ქ. N4
ტელ: 234 66 04; 599 747 787; 597 747 787;
Email: e-mail -- meonunu@mail.ru

განათლება და სამეცნიერო ხარისხი:

განათლება: უმაღლესი - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია,
არქიტექტურის ფაკულტეტი, რესტავრაციის განყოფილება. 1969-1975 წწ.

პროფესია: არქიტექტორ-რესტავრატორი.

სამუშაო გამოცდილება

1969 თბილისის №18 ქალაქის პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის
წარმოების ოსტატი.
1970-1980 ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მხატვარ არქიტექტორი.
1974-1976 ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის არქიტექტორი.
1975-1978 სპეციალური სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს
არქიტექტორ-რესტავრატორი.
1978-1981 ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი არქიტექტორ-
რესტავრატორი.
1981-1987 სპეციალური სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს
პროექტის მთავარი არქიტექტორი.
1987-1990 სპეციალური სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს
საპროექტო ბიუროს მთავარი არქიტექტორი.

1990-1996 კოოპერატივ ”ბალავარის“ სარესტავრაციო-საპროექტო განყოფილების გამგე.
1996-2012 არქიტექტურული ფირმის შპს ”ფავნისის“ არქიტექტორი.
2003-2005 BP-ს მიერ ვალესა და აწყურში ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების არქიტექტორი.
2008-2012; 2014 გრაკლიანი გორის არქეოლოგიური ექსპედიციის არქიტექტორი
2013 ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიციის არქიტექტორი.
2014 ლესალეს ციხის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის არქიტექტორი.

მნიშვნელოვანი პროექტები:

1974-1976 ნოქალაქევი:

1. ანტიკური პერიოდის აღმოსავლეთ კარიბჭის ნაშთების კონსერვაცია, I ეტაპი. (პროექტი, საავტორო ზედამხედველობა)
2. ანტიკური პერიოდის აბანოს კონსერვაცია. (პროექტი, საავტორო ზედამხედველობა)
3. ადრეფეოდალური ხანის სამრეკლოს კონსერვაცია, ნაწილობრივი რესტავრაცია. (პროექტი, საავტორო ზედამხედველობა)
4. გალავნის ფრაგმენტი სამხრეთით. (პროექტი, საავტორო ზედამხედველობა)

1976 - მცხეთა. „არაგვის კარი“ (ვ.ცინცაძე, მ.კასრაძე, პროექტი, საავტორო ზედამხედველობა);

1977 – „სვეტიცხოველი“ გადახურვებისა და მზიდი კონსტრუქციების რეაბილიტაცია. (ვ.ცინცაძე, მ.კასრაძე საავტორო ზედამხედველობა);

1977 - „გელათის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი“ გადახურვებისა და მზიდი კონსტრუქციების რეაბილიტაცია. (ვ.ცინცაძე, მ.კასრაძე საავტორო ზედამხედველობა);

1977 - მარტყოფი-ნორიო წმ. მამა ანტონის ეკლესია. (ნ.მინდორაშვილი, მ.კასრაძე პროექტი.);

1978 - მცხეთის წმინდა სტეფანე პირველმოწამის ეკლესია, ანტიოქია. (ნ.გელაშვილი, მ.კასრაძე პროექტი, ნ.გელაშვილი საავტორო ზედამხედველობა);

1978 - სოფ. სიმონეთი დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი. (ო.თორთლაძე, ნ.მინდორაშვილი მ.კასრაძე პროექტი, ო.თორთლაძე საავტორო ზედამხედველობა);

1979 – 1989 ხიდები მდ. აჭარისწყალზე:

1. დანდალო. (პროექტი, საავტორო ზედამხედველობა);
2. მახუნცეთი. (პროექტი, საავტორო ზედამხედველობა);
3. ფურტიო. (პროექტი, საავტორო ზედამხედველობა);

1979 - 1980 რაჭა. ცაგერის რ-ნი, გონის მთავარანგელოზის ეკლესია.
(პროექტი);

1980 -1981 ქ. თბილისში ანჩისხატის ეკლესიის ეზოში მდებარე
საცხოვრებელი სახლის რესტავრაცია-ადაპტაცია. (ა.ფავლენიშვილი
მ.კასრაძე პროექტი, საავტორო ზედამხედველობა);

1980-1981 აბაშის რ-ნი, კადარის ეკლესია. (მ.ჩოდრიშვილი მ.კასრაძე
პროექტი);

1980-1981 აბაშის რ-ნი, კახათის ეკლესია. (მ.ჩოდრიშვილი მ.კასრაძე
პროექტი);

1980-1981 ჭიათურის რ-ნი, დარკვეთის წმ. გიორგის ეკლესია.
(მ.ჩოდრიშვილი მ.კასრაძე პროექტი);

1979-1981 ვანის ნაქალაქარი. კარიბჭის კომპლექსი. (პროექტი, საავტორო
ზედამხედველობა. სარესტავრაციო სამუშაოები შესრულებულია
ნაწილობრივ);

1979-1981 ვანის ნაქალაქარი. ნაგებობა ქვედა ტერასაზე. (პროექტი)

1979-1982 ნეკრესი, სასახლე. (პროექტი);

1979-1984 ნეკრესი, VI ს-ის ეკლესია. (რ.ცხადაძე მ.კასრაძე პროექტი,
საავტორო ზედამხედველობა);

1983-1985 ჩოხატაურის რ-ნი, ერკეთის ღვთისმშობლის ეკლესია.
(პროექტი, საავტორო ზედამხედველობა);

1984-1986 ჩეჩნო-ინგუშეთის ა.ს.ს.რ. ტყობა-ერდოს ეკლესია. (მ.ანდრიაძე
მ.კასრაძე პროექტი);

1990-1991; 2006-1007; სოფ. თხინვალას წმ. გიორგის სახ. ეკლესია
(ა.ფავლენიშვილი მ.კასრაძე პროექტი);

2005 - ტანას ხეობაში, ვერეს ღვთისმშობლის ეკლესია. (ა.ფავლენიშვილი
მ.კასრაძე პროექტი);

2006-2007 სოფ. ხაშში კაწარეთის სამება. (ა.ფავლენიშვილი მ.კასრაძე
პროექტი);

2006 ვანის ნაქალაქარი. მრგვალი ტაძრის გადახურვის რეკონსტრუქცია
(პროექტი ბ.სურგულაძე მ.კასრაძე)

2011-2013 თელავის სასახლის გრაფიკული რეკონსტრუქციის პროექტი.
(ზ.მელვინეთუხუცესი, მ.კასრაძე)

2012-2014 სოფ. ანთოკში მარნის რესტავრაციის პროექტი
(ზ.მელვინეთუხუცესი, მ.კასრაძე)

2013 ბოლნისის რ-ნი, აბულმუგის ტერიტორიაზე არსებული ყორღანის
გრაფიკული რეკონსტრუქციის პროექტი (მ.კასრაძე თ.ფიცხელაური)

1970-1990 წინასწარი აზომვითი კვლევითი სამუშაოები 200-ზე მეტ
ბეგლზე.

გამოქვეყნებული სტატიები

1983-1990 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ბეგლთა აღწერილობა

ტ. 5; ტ. 2; (27 აღწერილობა)

1988 03. 06. – „რადიკალური ზომების მიღებაა საჭირო“ „ლიტერატურული
საქართველო“. (ბეგლთა დაცვის სისტემის რეორგანიზაციის აუცილებლობის
შესახებ)

2004 07. 02. – „ერთად, ცოდნით, პატიოსნად დავიბრუნოთ საქართველო.“
(ბეგლთა დაცვის სისტემის რეორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ.)

სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები:

1979 - წყალტუბოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ინფორმაცია
ვანის არქეოლოგიური ბეგლების მდგომარეობის შესახებ.

1980 - ერევნის საერთაშორისო სიმპოზიუმი: მოხსენება „ვანის ნაქალაქარის
კარიბჭის კომპლექსის რესტავრაცია-კონსერვაციის საკითხის შესახებ“.

ენები

რუსული; ინგლისური (ლექსიკონის დახმარებით)

გრაკლიან გორას არქეოლოგიური ობიექტის დამცავი ნაგებობების მოწყობის

წინასწარი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

ღირებულება ლარებში

№	სამუშაოების ჩამონათვალი Works	განზომ. Dimen.	რაოდენ. Amoun	მასალა Materials		ხელფასი Salary		ტრანსპორტი და მექანიზმები Transport end gears		ჯამი
				ერთ. ფასი Unit price	ჯამი Total	ერთ. ფასი Unit price	ჯამი Total	ერთ. ფასი Unit price	ჯამი Total	Total
				5	6	7	8	9	10	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ბოძების მოწყობა ფოლადის დ=159 მმ მილეებისაგან	გ.მ	70,00	30,00	2 100,00	3,75	262,50	0,80	56,00	2 418,50
2	ბოძების ჩაბეტონება	კბ.მ	2,00	120,00	240,00	50,00	100,00	20,00	40,00	380,00
3	შემკრავი კოჭების მოწყობა ოთხკუთხა ფოლადის მილეებისაგან 100 *100 მმ	გ.მ	286,00	18,00	5 148,00	3,75	1 072,50	0,80	228,80	6 449,30
4	შემკრავი კოჭების მოწყობა ოთხკუთხა ფოლადის მილეებისაგან 120 *100 მმ	გ.მ	105,00	25,00	2 625,00	3,75	393,75	0,80	84,00	3 102,75
5	გავარლის მოწყობა დამჭერებით	გ.მ	42,00	5,00	210,00	2,00	84,00	0,20	8,40	302,40
6	სახურავის ვიტრაჟების დამზადება და მონტაჟი ფოლადის ელემენტებისაგან	კვ.მ	220,00	95,00	20 900,00	25,00	5 500,00	1,00	220,00	26 620,00
7	სახურავის ვიტრაჟების შემინვა ნაწრთობი მინით 10 მმ სისქით	კვ.მ	220,00	26,00	5 720,00	3,75	825,00	0,50	110,00	6 655,00
8	ლითონის კონსტრუქციის დაფარვა ანტი კოროზიული საღებავით	კვ.მ	220,00	2,50	550,00	3,75	825,00	0,10	22,00	1 397,00
	სულ:				37 493,00		9 062,75		769,20	47 324,95
	ზედნადები ხარჯები		10%							4 732,50
	სულ:									52 057,45
	გეგმიური დაგროვება		8%							4 164,60
	სულ:									56 222,04
	გაუთვალისწინებული ხარჯები		3%							1 686,66
	სულ:									57 908,70
	დ.ღ.გ		18%							10 423,57
	ჯამი:									68 332,27

შეადგინა:

გ. ნაზაროვა

საქართველოს არქეოლოგიური ასოციაცია

გრაკლიანის არქეოლოგიური კომპლექსის (კასპის მუნიციპალიტეტი)
გადახურვის სივრცით-არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფცია

საქართველოს არქეოლოგიური ასოციაციის დირექტორი
პროექტის ავტორი
პროექტის ავტორი

/ვ.ლიჩელი/
/მ.კასრაძე/
/ზ.გაჩეჩილაძე/

თბილისი 2014წ.

საპროექტო წინადადების დასაბუთება

გრაკლიანი გორის არქეოლოგიური ძეგლის ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო ნაგებობების პროექტირების მიზანია:

1. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი კულტურული ფენებისა და ცალკეული ნაშთების დაცვა ატმოსფერული ნალექებისაგან.
2. ძეგლის სივრცობრივი აღქმის რეგულაცია, ღია ცისქვეშა მუზეუმის პერსპექტივის გათვალისწინებით.
3. პროექტირების იმგვარი პრინციპის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში შესწავლილ ტერიტორიებზე ახალ დამცავ არქიტექტურულ სახეს.

ძეგლის მრავალფენიანობა, მძლავრი და ინტენსიური კულტურული ფენების სიუხვე თავიდანვე გამორიცხავს კონსტრუქციული საყრდენი ელემენტების თავისუფალ განთავსებას შესწავლილ ტერიტორიაზე.

სწორედ ამ მიზეზის გამო წინასწარი კვლევითი სამუშაოების პროცესში განისაზღვრა მეტ-ნაკლებად ნეიტრალური ზონები ახალი კონსტრუქციების გამართვის მიზნით.

6 წლიანი საველე სამუშაოების შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა ტერასებზე განლაგებულ ნაგებობათა მშენებლობის როგორც ინდივიდუალური, ასევე მთლიანი ნამოსახლარის არქიტექტურული დაგეგმარების პრინციპი.

დაგეგმარების უმთავრეს მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ მკაცრ ჰორიზონტალურ რეგისტრებად დაყოფილი ტერიტორია, რის შედეგადაც ნამოსახლარი ტერასულად იყო განვითარებული და შედეგად ყოველი ტერასის ნაგებობათა ბანური გადახურვა მომდევნო ტერასის ეზოს გაგრძელებას წარმოადგენდა. სწორედ ამ დასკვნის საფუძველზე ხდება შესაძლებელი ნაგებობათა ჩრდილოეთით მიწაში ჩართული კედლის მასა, სათავსოთა გამყოფი კედლების მასებთან ერთად საყრდენი კონსტრუქციის დასაშვებ არეალად მოვიაზროთ, რადგან ძეგლის ექსტერიერისა და ცალკეულ ნაგებობათა ნაშთების ექსპონირება თანაბარზომიერად მნიშვნელოვანია სამომავლო ინტერესთა გათვალისწინებით, მხოლოდ მდგრადი, კონსტრუქციულად გამართული ახალი ფორმებით ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

წინამდებარე პროექტს არსობრივად მხოლოდ შესწავლილი მასალა უდევს საფუძვლად. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა დამცავ მოცულობათა იმგვარი დოზით წარმოჩენას, რომელიც ძეგლის მასშტაბურობის დაცვასა და სივრცობრივ აღქმაში გადაცდომებს მინიმუმამდე შეამცირებს.

შემუშავებული კონცეფცია ეყრდნობა ცალკეულ ნაგებობათა არქიტექტურული გაბარიტებისა და კონსტრუქციულ გადაწყვეტათა სივრცობრივი რესტავრაციის პრინციპს. გამოვლენილი მასალების მიხედვით მკაფიოდ განისაზღვრა სათავსოთა სიმაღლე, მზიდი კონსტრუქციებისა და ცალკეული ელემენტების განთავსების საკითხები.


ახალი კონსტრუქციები სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზეა შექმნილი რის შედეგადაც:

1. საყრდენი კონსტრუქციული ბოძები და კოჭები გადახურვის სხვა ელემენტებთან ერთად ნაგებობის არქიტექტურულ განწყობას იმეორებენ.
2. ცალკეული ნაგებობების გაბარიტული მოცულობების ფორმის გამეორება არაერთგვაროვან, არატიპიურ, ლოგიკურ და განაშენიანების ობიექტურ და ცოცხალ გარემოს შექმნის ექსტერიერში.

საპროექტო ნაგებობებში თანამედროვე მასალების გამოყენებით (ლითონის ელემენტები, მინა) მკაცრად იმიჯნება ძეგლისა და ახალი კონსტრუქციის მნიშვნელობა. კონსტრუქციებში ფერებისა თუ სხვა დეტალების გამოყენების ნაცვლად, ძველი ფუნქციური ნახატის განმეორება (ერდოს ღიობი, კოჭების რიტმი) სარესტავრაციო მეთოდოლოგიურ მიდგომითაა მოწოდებული.

პრინციპულად მნიშვნელოვანია გამჭირვალე მინის საბურველის მოწყობაც, რადგან ნაგებობათა აღქმა დამთვარიელებისათვის უფრო შთამბეჭდავი იქნება. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ეფექტიც, რომელიც ღამის განათების შემთხვევაში შეიქმნება ამ ელემენტების არსებობით.

რაც შეეხება ზოგადად დარჩენილ ტერიტორიას სხვადასხვა კულტურული ფენების ინტენსივობის გამო ცალკეული ეპოქის ფრაგმენტებით ხშირ შემთხვევაში ძლიერ დაზიანებულია წინამორბედი ნიშნულები და ამდენად მათი ერთიანი ლოგიკური ბმა შეუძლებელია. ამ გარემოებათა გათვალისწინებით ადგილზე დატოვებული ცალკეული ნივთებისა თუ ფრაგმენტების უკეთ ექსპონირების მიზნით შესაძლებელია დაზიანებული და ამორფულად ქცეული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები ფერში გააზრებული წვრილი, ინერტული ფრაქციით დაიფაროს.





D

E

F

G

H

I

6

7

8

9





